სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

06 აპრილი 2026

N 21/4652

შპს „ბი ემ სი“-ს
ელ.ფოსტა: zaalKvitsiani@gmail.com

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი №3045 სკრინინგის განცხადება და №4220 განცხადებით დამატებით წარმოდგენილი კორექტირებული shp-ფაილი, რომლებიც ეხება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას (ბუნებრივი ქვის ხერხვა-დამუშავება) და გაცნობებთ შემდეგს:

ა) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ბუნებრივი ქვის დამუშავება ხორციელდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ წინწყაროში, შპს „ბი ემ სი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 84.10.34.000.067; ფართობი: 2027 მ^2), თუმცა, სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp-ფაილში აღნიშნული საკადასტრო ერთეული მოცემული არ არის და წარმოდგენილია მხოლოდ საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებული ობიექტები. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, 84.10.34.000.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 84.10.34.000.063; 84.10.34.000.068) ფიქსირდება ქვის ლოდები. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს განმარტებას. ამასთან, სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp-ფაილში საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ობიექტებთან ერთად, ასახული უნდა იყოს საწარმოს სრული ტერიტორია (მიწის ნაკვეთ(ებ)ი).

ბ) მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საწარმოს აღმოსავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 84.10.34.000.041; 84.10.33.000.069; 84.10.33.000.131; 84.10.33.000.130) ფიქსირდება სხვადასხვა შენობა-ნაგებობები, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია დოკუმენტში მოცემული არ არის და საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი განხილული უნდა იქნას ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დაზუსტებული ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით.

გ) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „საწარმოს წარმადობა შეადგენს 8000 მ^2 ქვის ფილას, საიდანაც მიიღება 6000 მ ბორდიურის წარმოება“. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში დასამუშავებელი ქვის რაოდენობა (ტონა ან/და მ^3).

დ) სკრინინგის განცხადებაში საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილ ნარჩენებთან დაკავშირებით მითითებულია, რომ საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენები, თუმცა, აქვე აღნიშნულია, რომ „ტექნოლოგიურ პროცესში წარმოიქმნება ნახმარი კომპოსტისა და ტორფის ნარევი, რაც თავის მხრივ სოფლის მეურნეობაში, ნიადაგის გამანოყიერებელ ძვირფას ნარევს (მასას) წარმოადგენს. მისი დროებით განთავსებისათვის გამოყოფილია ტერიტორია, საიდანაც პერიოდულად გაიტანება შესაბამისი ორგანიზაციების მიერ. ასევე სპეციალურ სათავსში გროვდება და შემდგომ მიმღებ პუნქტებს გადაეცემა კომპოსტის შესაფუთი პოლიეთილენის (პლასტმასის) ნარჩენი“. აღნიშნული ინფორმაცია გაუგებარია. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია (კოდები, დასახელება, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 5[1] ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/4652-21-2-202604061627